ოქმი:**ო31. 3126121001**
თარიღი:**01/05/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N6.

ქ. ლანჩხუთი

27. 04. 2026 წელი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა სამი საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 29 საკრებულოს წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

7. „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის (შესახვევებისათვის) სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

8. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სხდომაზე სიტყვით

გამოსასვლელად ჩაწერილია ორი მოქალაქე (ვალიკო მგელაძე და სვეტლანა სარიშვილი) და მათ გამოსვლის უფლება მიეცემათ სხდომის დასასრულს, სხვადასხვა საკითხების ამოწურვის შემდეგ.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლში შედის შემდეგი სახის ცვლილებები:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის უნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში (ვებ. გვერდი 27.03.2026წ. სარ. კოდი 200130000.35.112.016589), კერძოდ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის - ადგილობრივი ქონების გადასახადის განაკვეთები-ს მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი.

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი. “

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე.

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები

მუხლი 1.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 - ჯერ; გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5 - ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3 -ჯერ.

მუხლი 2.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 31 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე

გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათავის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია: ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი.

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1 პროცენტი.

მუხლი **4.**

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

1. სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული)-20 ლარი/ჰა;
2. საძოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული)-16 ლარი/ჰა;
3. სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე,)- 73 ლარი/ჰა;
4. საკარმიდამო-73 ლარი/ჰა;
5. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის სათიბი მიწებისათვის-20 ლარი/ჰა;
6. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის საძოვარი მიწებისათვის-16 ლარი/ჰა;
7. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის სახნავი მიწებისათვის-73 ლარი/ჰა.

მუხლი 5.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით“.

მუხლი 6.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

ქ. ლანჩხუთი- ტერიტორიული კოეფიციენტი-1,0; საბაზისო განაკვეთი-0,24 ლარი/ $მ^2$, წლიური გადასახადის განაკვეთი - 0,24 ლარი/$მ^2$ (3x4).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში-ტერიტორიული კოეფიციენტი-0,9; საბაზისო განაკვეთი-0,24 ლარი/$მ^2$, წლიური გადასახადის განაკვეთი - 0,216 ლარი/$მ^2$ (3x4).

მუხლი 7

1. ქონების გადასახადისაგან განთავისუფლდეს:

ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ

აღემატება 600 კვ.მ-ს. ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.

3. ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N 10 (27.04.2026).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით, ვადიანი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებაა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 16კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის N008045925 თარიღი 2.12.2025 თანახმად 1 კვ.მ. შეფასებულია 98 ლარად) 5 წლის ვადით გამოაცხადოს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული ელექტრონული აუქციონი. აღნიშნულისთვის საჭიროა, - ,,ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვროს სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ზემოაღნიშნული ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის მიზნით, ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 5 500 (ხუთიათას ხუთასი) ლარით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 16 (27.04.2026).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, პროექტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მ/ წლის 6 თებერვლის GOV 5 26 00003729 რეკომენდაციის საფუძველზე და მასში გამოსწორებულია რეკომენდაციაში მითითებული ხარვეზი, კერძოდ დაკორექტირდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N 11 (27.04.2026).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 61422300 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 96,6 %-ი, აქედან გადასახადების სახით მიღებულია 17426300 ლარი, რაც გეგმის 101,3 %-ი, შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით)- 21469307 ლარი, რაც გეგმის 101,3 %-ს შეადგენს, სხვა შემოსავლები მიღებულია 3880946 ლარი, რაც გეგმის 101,1 %-ს შეადგენს, მათ შორის-სანქციები (ჯარიმები და საურავები) 3190106 ლარი, რაც გეგმის 97,5 %-ს შეადგენს. დამატებითი ღირებულების გადასახადი მობილიზებულია 15033969 ლარი, რაცც გეგმის 100,2 %-ს შეადგენს, ქონების გადასახადი მიღებულია 2392373 ლარი, რაც გეგმის 108,8 %-ს შეადგენს. არაფინანსური აქტივების კლებაზე მიიმართა 32019 ლარი.

საანალიზო წელში გაწეულია 57846655 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის - შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 9133714 ლარი, რაც მიმდინარე ხარჯის 36,8%-ს შეადგენს, საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯმა 9895451 ლარი შეადგინა, რაც მიმდინარე ხარჯის 39,9 %-ია. შტატგარეშე მომუშავეთა შროის ანაზღაურებაზე გახარჯულია 4055842 ლარი, რაც მიმდინარე ხარჯის 16,3 %-ს შეადგენს. ოფისის ხარჯზე მიიმართა 1280553 ლარი, რაც მიმდინარე ხარჯის 5,2 %-ია. ტრანსპორტის მოვლლა-შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯი გაწეულია 2594535 ლარი, რაც გაწეული ხარჯების 10,5 %-ია. სოციალური ღონისძიებების კუთხით მიიმართა 1345339 ლარი, რაც მიმდინარე ხარჯის 5,4 %-ს შეადგენს. სხვა ხარჯების მუხლში გაწეულია 8084809 ლარი (სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები)-საკასო ხარჯების 13, 97 %-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში მიიმართა 27923371 ლარი-საკასო ხარჯის 48,3 %. ვალდებულებების დაფარვაზე მიიმართა 188008 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია პროფესიონალურ დონეზე კვალიფიციური გუნდის მიერ, შესრულებულია ყველა დასახული გეგმა, რაც იძლევა იმის იმედს, რომ 2026 წლის ბიუჯეტიც იქნება სრულად შესრულებული, რისთვისაც მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, თითოეულ ა(ა)იპის ხელმძღვანელს, მერიის შესაბამის სამსახურებს და ზოგადად, გუნდის ყველა წევრს გაწეული სამუშაოებისა და თანამშრომლობისთვის.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი განიხილა ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციამ, მისი თითოეული წევრი

აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში და ამომწურავი პასუხები მიიღეს შესაბამისი სამსახურების უფროსებისგან. აღნიშნული ბიუჯეტი ნამდვილად დიდი შრომის შედეგია იმ პირობების გათვალისწინებით, რის გავლაც მუნიციპალიტეტს მოუწია 2025 წლის სტიქიების მართვის კუთხით. 2025 წელი ასევე იყო მნიშვნელოვანი, წარმატებული და მოსახლეობის სიკეთეებზე მორგებული პროექტების განხორციელების წელი, პირველ რიგში, ეს ეხება ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროგრამებს. მას სჯერა, რომ 2026 წლის ბიუჯეტიც იქნება წარმატებული და სრულად შესრულებული, როგორც ეს იყო 2025 წლის ბიუჯეტის შემთხვევაში. მან მადლობა გადაუხადა მერს და შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებს გაწეული სამუშაოებისთვის და წარმატებები უსურვა მათ შემდგომ საქმიანობაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და მთელ მის გუნდს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვაზე გაწეული სამუშაოებისთვის და წარმატებები უსურვა მათ.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ბიუჯეტი არასოდეს არ არის საკმარისი გამოწვევებისა და პრობლემების გათვალისწინებით, მაგრამ მის დაგეგმვაში ჩადებულია ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა თითოეულ თანამშრომელს და აღნიშნა, რომ კიდევ უფრო მეტს იშრომებენ ახალი გამოწვევების და სხვადასხვა კუთხით განსახორციელებელი პროექტების შესასრულებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 17 (27.04.2026).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა- პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცება ან ამ წესების არსებობის შემთხვევაში მათი ამ კანონთან შესაბამისობა. აღნიშნულის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილია შინაური ცხოველების ყოლის წესების (მათ შორის, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, გასეირნების, მგზავრობისა და ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მოთხოვნების) დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში პოპულაციების მართვის (მათ შორის, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაციის/კასტრაციის, მონიტორინგისა და თავშესაფრების ორგანიზების) უზრუნველყოფა. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 18 (27.04.2026).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მომართა სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის", (ს/ნ 204852775) გენერალურმა დირექტორმა, მაგდა ბოლოთაშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას" შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის (მხარეებს შორის გაფორმებული 2025 წლის იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა) გაგრძელება და 2026 წლის 1 მაისიდან - 31 დეკემბრამდე პერიოდში, ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობის მეორე სართულზე მდებარე 26.51 კვ.მ. N1 ფართის (ს/კ 27.06.52.141.01/503) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას", მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 19526 ლარიდან, (შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის" 2023 წლის 15 დეკემბრის N573 აუდიტორული დასკვნა) 10%-ის ოდენობით განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 1952.6 ლარი (საიდანაც ყოველთვიური ქირის ოდენობა შეადგენს 162,71 ლარს). პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 19 (27.04.2026)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის (შესახვევებისათვის) სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი წერილის N31-31253539, თარიღი: 19.12.2025 (სამინისტროში რეგისტრაციის N4940/01, 19.12.2025) პასუხად, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების საკითხს, გამოიგზავნა ზემოთ ხსენებული სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებულ უსახელო გეოგრაფიული ობიექტს (შესახვევს) ეწოდოს საფო მგელაძის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად, კერძოდ:

ა) საფო მგელაძის I შესახვევი

ბ) საფო მგელაძის II შესახვევი

გ) საფო მგელაძის III შესახვევი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.

მომხრე საკრებულოს 29 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 20 (27.04.2026).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:

1. რა ხდება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 35 მილიონი ლარის ღირებულების პროექტის ირგვლივ, რომელიც ხარვეზებით მიმდინარეობს და იმავდროულად, იქ მომუშავე პერსონალისთვის სახელფასო დავალიანება აღემატება 5-6 თვეს:

2. რა პრიორიტეტებით შეირჩა ინფრასტრუქტურული პროექტები და არის თუ არა მათ შორის ქ. ლანჩხუთში მდებარე თავისუფლების ქუჩა, ჭანჭათის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქთან დამაკავშირებელი გზა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში-გოგუების უბანი;

3. რა არის ახალი ეწრის, ნიგოითის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში სკოლების მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით;

4. რატომ არის მიტოვებული ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ორი მოსაცდელის მშენებლობა;

5. 2016 წელს აშენებული ბაღებიდან ყველა ავარიულია, მხოლოდ ჩოლობარგის ბაღის შენობაა საღად შემორჩენილი. რა არის ამის მიზეზი და ვინ არის პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე;

6. მოგვარდა თუ არა ახალი სპორტული ცენტრის სახურავის პრობლემა;

7. რა ხდება გრიგოლეთის ბაზის გასხვისებასთან დაკავშირებით;

8. ქვიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით ართმელაძის სახელობის სკვერის მოვლა-პატრონობას ახორციელებდა სოციალური პროგრამით დასაქმებული პირი, რადგან ეს პროგრამა აღარ მოქმედებს, არის თუ არა შესაძლებელი, რომ აყვანილი იქნეს ახალი კადრი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებია ტურნირი ტარდება სპორტინგში. არის დაინტერესებული პირი, ვისაც სურს შეიძინოს მიწის ნაკვეთი, სადაც ტარდება ეს ტურნირი. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, არის თუ არა წინსვლა ამ მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით და რა ეტაპზეა, ზოგადად, მიწის სისტემური რეგისტრაციის საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებს ჰქონდათ შეხვედრები, ისაუბრეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუსრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და გაადაწყდა, რომ სახელმწიფო კომპანიას გაუკეთებს გარკვეულ შეღავათებს, რათა მან სრულყოფილად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, რაც თავის მხრივ სასარგებლოა მუნიციპალიტეტისთვისაც, ხოლო რაც შეეხება სახელფასო დავალიანებებს, ეს საკითხი მისთვის უცნობია და აუცილებლად მოიკითხავს შემდეგ შეხვედრაზე, რომელიც მომდევნო კვირას იგეგმება, დაზიანებული გზების რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით.

ინფრასტრუქტურული პროექტები მოსაწონებლად შემოტანილი იყო საკრებულოს სხდომაზე და აქ მოხდა მათი შერჩევა, თავისუფლების ქუჩის სარეაბილიტაციოდ მიმდინარეობს ტენდერი, ამ ეტაპზე გაგური-ოზურგეთი-ჩოხატაურის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე გამოცხადებულია ტენდერი და პროცედურების დასრულების შემდეგ სამუშაოები დაიწყება ამ კუთხით, ხოლო რაც შეეხება გოგუების უბანს და ჭანჭათს ამ გზების რეაბილიტაცია იგეგმება სამომავლოდ.

ეწრის, ნიგოითის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში სკოლების მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით 10 მაისამდე მას ექნება შეხვედრა ინფრასტრუტურის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებთან და იქ მიიღებენ გადაწყვეტილებას ამ სკოლებთან დაკავშირებით 2026 წელს მინიმუმ პროექტის გამოცხადებაზე.

ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ორი მოსაცდელის მშენებლობისთვის საქართველოს ბანკიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო გარკვეული თანხა, გამოცხადდა ტენდერი, გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო მშენებლობა და შემდეგ შეაჩერა, გაუქმდა ხელშეკრულება, მას შემდეგ შპს ტრანსპორტირების კომპანიამ ორჯერ გამოაცხადა ტენდერი, მაგრამ დაინტერესებული პირი არ გამოჩნდა, კიდევ ერთხელ გამოცხადდება ტენდერი და თუ კიდევ არ გამოჩნდება დაინტერესებული პირი, მაშინ სამუშაოები შესრულდება კანონით გათვალიწინებული ნორმებით.

ავარიული ბაღების კუთხით ნამდვილად არის პრობლემები. ერთი თვის წინ ჩაატარდა ამ ბაღების შემოვლა, ადგილზე მოინახულეს დაზიანებები, მზადდება საჭირო დოკუმენტაცია და გადაეცემა იმ უწყებებს, რომლებმაც უნდა გამოიძიონ, თუ რამ გამოიწვია ამ შენობების 10 წელიწადში ამორტიზება, რის შემდეგაც დაიწყება პრობლემის მოგვარება. წყალწმინდის ბაღის ტერიტორია დაიმეწყრა ბაღის აშენების შემდგომ, მცირედ არის დაზიანებული სამზარეულოს შენობა, მაგრამ უსაფრთხოების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა ალტერნატიული ფართის მოსაძიებლად, სანამ აშნდება ახალი ბაღი.

ახალი სპორტული კომპლექსის სახურავის პრობლემა მოგვარებულია, გამოცხადებულია ტენდერი საჭირო ინვენტარის შესაძენად და ეზოს მოსაწესრიგებლად. ობიექტი სავარაუდოდ მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიხსნება.

სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოდან შემოვიდა წერილი გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის(55000კვმ მიწის ნაკვეთი) მათთვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე, რათა შემდგომში საჭიროებისამებრ გამოიყენონ, რაზეც მუნიციპალიტეტიდან უარი გაიგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთის საფეხბურთო კლუბ ,,გურიას“ ჰყავს კარგი ინვესტორი, ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობასთან ერთად მხარს უჭერს და მიესალმება მათ წარმატებას, არ იქნება მართებული, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაახლოებით 15 მილიონად შეფასებული ქონება, რომლის ღირებულებაც პერსპექტივაში უფრო გაიზრდება, უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში მისი შეხედულებისამებრ გადასცემს დაინტერესებულ პირს. მისი თქმით, უმჯობესი იქნება, მუნიციპალიტეტმა თავად აწარმოოს მოლაპარაკება დაინტერესებულ პირთან, მოეწყოს საჯარო განხილვა, საქმეს მიეცეს სწორი მიმართულება და საბოლოოდ არ დაზარალდეს არც მუნიციპალიტეტი და არც კლუბი.

ქვიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით ართმელაძის სახელობის სკვერის მოვლა-პატრონობას ახორციელებდა სოციალური პროგრამით დასაქმებული პირი, ახლა ეს პროგრამა აღარ მოქმედებს და ფიზიკურად არც არის საშუალება ამ კუთხით კადრის დასამატებლად, მაგრამ საკითხს აუცილებლად მიექცევა ყურადღება.

სპორტინგის ჩასატარებელ მიწის ნაკვეთის შესყიდვასთან დაკავშირებით არის პრობლემები და ჯერ-ჯერობით შეჩერებულია ეს პროცესი, მაგრამ აუცილებლად გაგრძელდება.

მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესი არის ძალიან მასშტაბური, რის გამოც გაიწელა დროში, მაგრამ აუცილებლად იქნება სრულფასოვნად დასრულებული.

მოქალაქე **ვალიკო მგელაძემ** გულისტკივილი (აღშფოთება) გამოხატა იმ ფაქტის გამო, რომ ქალაქის ცენტრში, მისი საცხოვრებელი კორპუსის უკან, სადაც ეკალ-ბარდები და ანტისანიტარია იყო, მოაწყო პატარა სკვერი, რომელიც შემოღობა საქონელისგან თავდაცვის მიზნით, რაც საფუძველი გახდა კორპუსის ზოგიერთი მაცხოვრებლების მხრიდან საჩივრის, ხოლო მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მხრიდან გაფრთხილებისა რვა ათას

ლარიანი ჯარიმის თაობაზე, სახელმწიფო მიწის უკანონოდ შემოღობვის გამო და მოსთხოვეს სკვერის ირგვლივ ღობის მოხსნა. მან ასევე აღნიშნა, რომ მერის პირველმა მოადგილემ, ეკა გუჯაბიძემ წერილზე, რომლის მიხედვითაც, მისი კორპუსის მობინადრედან 13 კაცის ხელწერა იყო უკანონო გარაჟების აკრძალვაზე, პასუხად, ხალხის თვალში ნაცრის შესაყრელად, აცნობა, რომ ვერანაირ უკანონობას ვერ ხედავდა, რადგან ექვსივე გარაჟი იყო დარეგისტრირებული.

წერილის ავტორებმა იუსტიციის სააგენტოდან მოითხოვეს ოფიციალური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ექვსიდან მხოლოდ ორი გარაჟი იყო დარეგისტრირებული, რაზეც მერიის მხრიდან მიიღო პასუხი, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა და საპასუხო წერილში ციფრი 6-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო ციფრი -2. მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა იყოს სკვერის გაკეთება, სადაც ადამიანები ისვენებენ და გარემოს ალამაზებს, დანაშაული და უკანონოდ აშენებული უსახური გარაჟები-მისაღები. მისი თქმით, ნეპოტიზმს პლუს შერჩევითი სამართალი უდრის კორუფციას და ბრალი დასდო ადგილობრივ ხელისუფლებას შერჩევით სამართალსა და მფარველობაში.

თავისი გამოსვლა **ვალიკო მგელაძემ** ასე დაასრულა: ,,თქვენ გაქვთ ორი არჩევანი, ამ საბუთებიდან გამომდინარე, აღიარებთ, რომ ხართ კორუმპირებულნი, ან მე ვარ თქვენგან პოლიტიკური დევნილი.“

მოქალაქე **სვეტლანა სარიშვილი** დაინტერესდა, რატომ მოხდა ისე, რომ მეწყერსაშიში ზონის გამო მისმა ერთმა შვილმა მიიღო კომპენსაცია, ხოლო მეორემ ვერა, მაშინ, როცა ორივე ცალკ-ცალკე კომლად არიან რეგისტრირებული.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

ბატონ ვალიკო მგელაძეს მოწყობილი აქვს მართლაც ლამაზი სკვერი, რომელიც შემოფარგლული აქვს მის საკუთრებაში არსებული გარაჟის ირგვლივ, ოღონდ უკანონოდ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. ორი წლის წინ მერიაში შემოვიდა საჩივარი, რომლის მიხედვითაც, ბატონი ვალიკოს მეზობლები ითხოვენ, რომ სკვერი არ იყოს შემოფარგლული, რადგან აღნიშნული ტერიტორია საერთოა, ხოლო ბატონი ვალიკო კი თავისი შეხედულებისამებრ უშვებს შიგნით ადამიანებს. ამ საჩივარზე რეაგირების მიზნით, მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები მისული იყვნენ დანიშნულების ადგილზე და გააფრთხილეს ბატონი ვალიკო, რომ სკვერისთვის ღობე შემოეხსნა, რის პასუხადაც მან განაცხადა, რომ ყვავილები პატარაა, საქონელი მოერევა. დაპირდა, რომ ნარგავების მოძლიერების შემდეგ მოხსნიდა, მაგრამ ღობე დღემდე დგას, რის გამოც ის კვლავ გააფრთხილეს და აუწყეს შესაძლო ფინანსური ჯარიმის ოდენობის შესახებ. რაც შეეხება გარაჟებს, იქ არის რეგისტრირებული და არა რეგისტრირებული გარაჟები, რომელთა დემონტაჟზე გადაწყვეტილება ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული და როცა მიიღებენ, ყველა მეპატრონე იქნება თანაბარ პირობებში.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ზოგადად, ძალიან ცუდია, როცა ადამიანი სრულიად გაუაზრებლად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ განცხადებებს აკეთებს კორუფციაზე და მის მფარველობაზე. მისი თხოვნაა, რომ მომხსენებელმა ამ ყველაფერზე ოფიციალურად მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიას ან შესაბამის უწყებებს და ისინი ოფიციალურად გასცემენ პასუხს.

მოქალაქე სვეტლანა სარიშვილის შემთხვევაში საჭიროა საქმის დეტალების მოკვლევა და ამის შემდეგ იქნება მიღებული გადაწყვეტილება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 აპრილი 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზესიკ ტაბიძე	11 58	
2	ვერიკო კვირკველია	11 59	
3	მაია ლომთაძე	11:55	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 02	
7	ზაზა წულაძე	11 00	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	11:55	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 56	
12	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11 54	
15	ნინო მშვიდობაძე	11 55	
16	ივანე ებრალიძე	11 50	
17	ირაკლი ცინცაძე	11 55	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11 57	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11 55	
20	გოგი მორჩილაძე	—	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 55	
23	ირაკლი ტოროტაძე	11.55	

24	ტატო ურუშაძე	11:55	
25	გელა პატეიშვილი	11:55	
26	თენგიზ ურუშაძე	11:55	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	11:55	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11:50	
29	სამსონ კვაჭაძე	11:50	
30	გოჩა ჯანაშია	11:55	
31	თორნიკე მითაიშვილი	—	
32	ჯუმბერ ბლაგიძე	—	